№3 - 67



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-კვირეული ჟურნალი

№ 4

წელიწადი მეორე

ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თნამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №
5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ.	10
4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ.	10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 შაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

33(05)
Ⴢ-67

კლდე

№ 4

20 იანვარი 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე“, იანვრიდან აღარ ეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

323/180

სარჩევი: მამულის აღწერა და დაფასება.—**ალ. ყიფშიძისა.** რა შეკვრჩა ხელში?—**ა—ისა.** წვრილი კრედიტი.—**ს.—კისა.** კვირიდან—კვირამდე. თავ. ს. თუმანიშვილის „განმარტებანი“.—**რ. გ—ესი.** მწვავე საკითხი. **დავით კახელისა.** ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა. **შეუპოვარისა.** ხაზინა და ქართველი ხალხის მამული.—**ღლონტისა.**

მამულების აღწერა და დაფასება

თორმეტის წლის წინად ჩვენი გლეხკაცობა იხდიდა საკომლო ფულს. უაზრო იყო ასეთი გადასახადი, რადგან მთავრობა გადასახადს ანგარიშობდა კომლის რაოდენობის მიხედვით. უაზრობა იმაში იხატებოდა, რომ ზოგი კომლი ღონიერი იყო, ზოგი სუსტი, ხარჯი კი ერთნაირად იწერებოდა.
თვით სოფლის საზოგადოებანი ასე თუ ისე აქარწყლებდნენ ამ უაზრობას შემდეგის წესით. სოფლის ყრილობა მთავრობის მიერ გაწერილ ხარჯს სოფელზე ანაწილებდა თვის წევრთა ქონების კვალობაზე, ესე იგი ხალხი სარგებლობდა ლიტრა-ჩარექის წესით. ლიტრის კაცი თუ იხდიდა, ვსთქვათ ორს თუმანს, ნახევარ ლიტრისა—10 მ., ჩარექისა—5 მან. მართალია, ლიტრა-ჩარექის წესი ურიგო არ იყო, სცდილობდა უსამართლობის ამოფხვრას, მაგრამ გართულებულ დღევანდელ ცხოვრებას ასეთი წესი ხარჯის გაწერისა აღარ შეეფერება. სუსტი და უძლური მაინც ხშირად იჩაგრებოდა.

1900 წლის **12** თიბათვის კანონმა მოსპო საკომლო გადასახადი და მის მაგიერ დააწესა გადასახადი მამულზე.—რუსულად ამ გადასახადს სხვა და სხვა სახელი ჰქვიან. აი ეს სახელები: ა) ბეგარა—**оброчная подать.** ბეგარას იხდიან სახასო გლეხები, რომელნიც ბინადრობენ სახელმწიფო მიწებზე. ბ) სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი—государственный поземельный налогъ და გ) საერობო გადასახადი—земскій сборъ.

სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი და ბეგარა ხაზინაში მიდის, ხოლო საერობო ადგილობრივ საჭიროებაზე იხარჯება, მაგალითად გზების გასაყვანად, ხიდების გასაკეთებლად, სოფლად ექიმების შესანახად და სხვა.

დღემდის ამ სხვა და სხვა ხარჯების გაწერა და აკრება ცუდად არის მოწყობილი. მიზეზი ამისა ათასია. გამიჯვნა მამულებისა ბევრგან არ დასრულებულა და პატრონებმა არ იციან—ვის რამდენი მამული აქვს; ღირსება მამულისა არ არის შესწავლილი, არ არის გარკვეული—თითოეულ მამულში რამდენია სახნავი, უხმარი, საძოვარი, საჳენახე, საბოსტნე და სხვა. ვიდრე ასეთი ცნობანი არ იქნება შეკრებილი, შესწავლილი და გაცხრილული, ვერავინ იტყვის, რომ ხარჯის გაწერა სამართლია-

ნია. აკი გაისმის ჩვენში კიდეც ჩივილი და წუწუნი — ორჯელ გადამახდევინეს ხარჯიო, სხვისა მამული მომაწერეს, ვენახი გაპარტახდა და მაინც ისე მახდევინებენ, თითქოს ვენახი მქონდესო, ხრიოკი და უხმარი მამული ნაფუზრად ასწერესო და სხვა ამ გვარი.

კანონიერ სახელმწიფოს ცხოვრებაში სისწორითა და სამართლით ხარჯის გაწერას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამის გამო დასავლეთ ევროპაში დიდი ხანია დიდძალი ხარჯი გასწიეს საადგილ-მამულო კადასტრის მოსახდენად. პრუსიამ ასეთი კადასტრი დაამთავრა 1861 წელს. კადასტრის წყალობით, ხარჯის ამკრეფ დაწესებულებამ ზედმიწევნით იცის — ვის რამდენი მამული უჭირავს, რა ღირსებისაა იგი, რა შემოსავალი აქვს და სხვა. რაკი ყველა ეს იციან, ხარჯსაც კანონიერად და სამართლიანად ანაწილებენ.

ეს დიდი საქმე, შიდა რუსეთში აქვს ჩაბარებული საერობო გამგეობას (Земская управа). დიდი შრომა დახარჯა, დიდი უნარი და მხნეობა გამოიჩინა ამ საქმის მოსაწყობად. დღეს რუსეთში მამულების აღწერა და ხარჯის გაწერა მშვენივრად არის დაყენებული. ai უპირველესი და საშვილიშვილო ღვაწლი რუსეთის ერობისა. ჩვენში, რაკი არ იქნა და ვერ ვეღირსეთ ერობას, მამულების აღწერის საქმეც ცუდად არის დაყენებული და ვიწვით გაუნელებელ ცეცხლის ალში.

საფინანსო სამინისტროს მიუქცევია ყურადღება ამ უნუგეშო მდგომარეობისათვის და სახელმწიფო სათათბიროში შეუტანია კანონის პროექტი მამულების აღწერისა ამიერ-კავკასიაში და თერგისა და ყუბანის ოლქებში. მუშაობა ნავარაუდევია 6 წელიწადს ძ მოუნდება ხარჯად სამი მილიონი მანეთი. აქედან 1.800,000 მ. დაიხარჯება საერობო თანხიდან, ხოლო 1.200.000 მ. ხაზინიდან.

კადასტრის მოხდენა ფრიად სასარგებლო საქმეა, თუ იგი რიგიანად შეასრულეს. უკეთუ თუ ღირსეულად ვერ დაამთავრეს საქმე, მაშინ ეს სამი მილიონი ფული წყალში გადაყრილი გამოვა.

პეტერბურგიდან გვატყობინებენ, რომ ფინანსთა მინისტრი ძრიელ აჩქარებს ამ კანონის განხილვას და დამტკიცებას. მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კანონი ამ გაზაფხულზევე დამტკიცდება და ძალაში შევა.

ალ. ყიფშიძე.

რა შეგვრჩა ხელში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავად ბაგრატიონის რეჟიმის აღდგენა „ბურბონთა რესტავრაციას“ მოასწავებსო. ამას ამბობდა გაზეთი, რომლის ხელმძღვანელი ოდესღაც თითონ ეტრფიალებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა ბურბონს და რომლის პოლიტიკური პომპადურობა ჯერაც არ გათავებულა, თუმცა უკანასკნელი ბურბონი — თავადი ბაგრატიონი აღარა ზის მარშლის ტახტზედ.

ბაგრატიონი დამარცხდა. ჩვენ მასში მუდამ პატიოსან და თავდადებულ მოღვაწეს ვხედავდით და დიდი უმადურობა იქნებოდა, რომ ამ დამარცხებას ჩვენს გულში გულწრფელი სინანული არ აღეძრა. მაგრამ ის გარემოება, რომ კრების უმრავლესობა მესამე პირზედ შეჩერდა, სახელდობრ თავ.-აფხაზზედ, გვაიძულებს იმედიანათ შევყუროთ მომავალს. მართალია, კრებაზედ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც გუბერნიის მარშლობა თავ. პ. თუმანიშვილსაც შესთავაზეს, მაგრამ ვფიქრობთ, ეს იყო მხოლოდ ფარსი, რომელშიაც თავ. თუმანიშვილმა იმ გამოცდილ მსახიობად მოგვაჩვენა თავი, რომელსაც კარგად ესმის, თუ რამდენჯერ უნდა გამოვიდეს თავის დასაკრავად აღტაცებული საზოგადოების წინაშე. მან გადასწყვიტა, რომ ვარდებს შეიძლება ლაყე კვერცხებიც მოჰყვეს და დროზედ თავი კულისებს შეაფარა. მოკლედ — მან თვითვე უარჰყო თავისი კანდიდატურა

თავ. კ. აფხაზის კანდიდატურა წინადაც იყო წამოყენებული და მხოლოდ დეპუტატთა საკრებულოს ცნობილმა ნაბიჯმა და თვით საქმის გარემოებამ აიძულა მრავალი მისი მომხრე ისევ თავ. ბაგრატიონი წამოეყენებინათ წინ. ბაგრატიონის დამარცხების შემდეგ თავ. აფხაზს მოპირდაპირე აღარავინ ჰყავდა და ლაპარაკი ლამაზ „ჟესტზედ“ და ჯენტლმენობაზედ, რომელიც ვითომ პ. თუმანიშვილმა გამოიჩინა, მხოლოდ თვალების ახვევაა. ნამდვილად მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. იყო საერთო კანდიდატი, რომელმაც დაჩრდილა პ. თუმანიშვილის „ჟესტიც“ და „ჯენტლმენობაც“ და ხმათა უმრავლესობა შეკრიბა. ის ფაქტი, რომ მას ხმას აძლევდა ორივე ჯგუფი, აშკარად ორივე ჯგუფის სასურველ კანდიდატად ხდის და ლაპარაკი, აგრეთვე, ,,ოპოზიციის‘‘ გამარჯვებაზედ და მეტადრე იმ დროს, როცა იმ ,,ოპოზიციის‘‘ ლიდერი თავ. გ·

ამირეჯიბი ,,ულვთოდ'' იქმნა გაშავებული, აგრეთვე მხოლოდ საკუთარ თვალების ახვევაა.

მაგრამ არის ერთი მხარე საქმისა და ეს მხარეა ზნეობრივი, რომელიც იმდენად თავად აფხაზის გამარჯვებასთან არ არის დაკავშირებული, რადგან მას არც არავინ ებრძოდა, რამდენად თავ. ბაგრატიონის დამარცხებასთან. ბაგრატიონის დამარცხებით იმდენად აბხაზმა არ გაიმარჯვა, რამდენად თუმანიშვილმა, რადგან ეჭვი არ არის, რომ **მარტო** გუბერნიის მარშლობაზედ უარის თქმით ღა შეინარჩუნა მაზრის მარშლობა თავადმა თუმანიშვილმა. იყო ერთი ფაქტი, რომელიც საოცრად ააშკარავებს თავ. თუმანიშვილის ცრუ მდგომარეობას. მან იქ სცადა თავისი ბედი, საცა დიდი საფრთხე არ მოელოდა. სახელდობრ, დელეგაციაში არჩევის დროს, მან მოიწადინა ყუთის დადგმა და გაგება იმისა, თუ რამდენ თეთრ კენჭს მიიღებდა და სამაგიეროდ გამოიჩინა საეჭვო ჯენტლმენობა იქ, საცა თავადაზნაურობას მართლა შეეძლო გამოეცხადებინა მისთვის ნდობაც და უნდობლობაც.

თუ თუმანიშვილს ჭეშმარიტად სურდა გაეგო თავად-აზნაურობის აზრი თავის შესახებ, მაშინ მას ნამდვილი ჯენტლმენობა უნდა გამოეჩინა და ბაგრატიონის შემდეგ ყუთი დაედგა, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა და ის მოსაზრება, რომლითაც მან უარჰყო ასეთი ნაბიჯი—ჩვენთვის ცხადია: ეჭვი არ არის, რომ იგი გაშავდებოდა და იძულებული შეიქნებოდა მაზრის მარშლობაზედაც ხელი აეღო.

მისმა ლამაზმა ჟესტმა და საეჭვო ჯენტლმენობამ კი ის მოახდინა, რომ ეხლა ჩვენ თითონაც არ ვიცით რა შეგვრჩა ხელში? მართალია, თავ.-აზნ. აირჩია გუბერნიის მარშალი, რომლის გარშემო ყველა სიამოვნებით მოიყრის თავს, მაგრამ დეპუტატთა საკრებულოს მტკიცე შემადგენელობა კი ჯერ საეჭვოა. ხმა დადის, რომ თითქმის ნახევარი მარშლებისა და დეპუტატებისა თავს ანებებს საკრებულოს.

ეს კი სწორედ თავ. პ. თუმანიშვილის ლამაზ ჟესტის და ჯენტლმენობის ნაყოფია. დანიშნულება წარსულ კრებისა, მარტო ის კი არ იყო, რომ მარშალი აერჩია, მას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი კახეთის რკინის გზის შესახებ და აგრეთვე თავისი დამოკიდებულება აღენიშნა თავ. პ. თუმანიშვილისადმი. ჩვენ ველოდით, რომ მომავალი მარშალი და პ. თუმანიშვილი კრებიდან სხვა და სხვა კარებით გამოვიდოდნენ. მაგრამ ისინი გამოვიდნენ ერთის კარებიდან და იმ დროს, როცა ნაწილი ულოცავდა თავ. აფხაზს, ნაწილი ულოცავდა თავ. თუმანიშვილს.

ა—ი.

წვრილი კრედიტის დაწესებულებათა საქმის და ანგარიშის წარმოების შესასწავლი კურსების საჭიროება

თითქმის დღე არ გავა, რომ გაზეთში მოთავსებული არ იყვეს ცნობა: „ამა და ამ სოფელში იხსნება საკრედიტო ამხანაგობაო". ეს, გარეგნულად სასიამოვნო მოვლენა ეჭვსა ჰგვრის კაცსა. ყველას, რომელიც კი დაინტერესებულია ჩვენი სოფლის ბედ-იღბლით, ძალა უნებურად ებადება კითხვები—რამდენად შეეფერება დღეს ჩვენს სოფელს საკრედიტო დაწესებულება და—მომზადებულია თუ არა ჩვენი გლეხი კოოპერატიულ კრედიტის გონივრულად გამოყენებისათვის. პირველი კითხვა თავის თავად ცხადია, რომ დღეს სოფელს საკრედიტო დაწესებულება სჭირია, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ თითქმის ისეთი მიყრუებული სოფელიც კი არ არის, სადაც ფულს არ ასესხებდეს ან ადგილობრივი ვაჭარი და ან შეძლებულ ოჯახის რძალი არ ასარგებლებდეს თავის სათავნოს. ხოლო, რაიც შეეხება მეორე საკითხს, ე. ი. რამდენად მომზადებულია გლეხი კოოპერატიულ საკრედიტო ამხანაგობისათვის და შეუძლიან თუ არა კრედიტით საზრიანად სარგებლობა, ეს კი ეჭვსა ჰბადავს... ამ ამხანაგობათ ისეთივე „სარგებლობა" არ მოუტანონ გლეხს, როგორიც მოუტანა საადგილ-მამულო ბანკმა ზოგიერთ აზნაურს, რომელსაც კრედიტის მოხმარების უნარი არა ჰქონდა. მაგრამ დავანებოთ თავი ასეთს ეჭვიანობას. ეს ეჭვი ჯერ-ჯეროობით უსაფუძვლოა... მაინც და მაინც, რაკინდ პესიმისტურად შეეხედოთ საგანს, მაინც არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ ეს მოვლენა საკრედიტო დაწესებულება გამრა-

ვლდება და აი რაქ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თუ გამოცდილება არ გვექნება, საქმით არა ვსცდით; აბა საიდან შევიძენთ პრაქტიკულს ცოდნას და თუ ხელზე დავიხვევთ ხალხის მოუმზადებლობას და არაფერს არ გავაკეთებთ, ეს ხომ ძველ გაცვეთილს საბუთს ევვანება, რომელსაც ბიუროკრატია წამოგვიყენებს ხოლმე, როცა საქმე რაიმე რეფორმის შემოღებას შეეხება; მეორეც—ვსთქვათ, იმ 153 საკრედიტო კოოპერატივიდგან, რომლებიც არსებობენ მთელს საქართველოში, ხალხის მოუმზადებლობით დაიხურა $^2/_3$ ბოლოს მაინც ხომ დაგვრჩება 50-მდე კოოპერატივი. ეს რიცხვი კი, ჩემის აზრით, საკმარისია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მოკლე ხანს, რომლის განმავლობაში დაიწყო ჩვენში პრაქტიკულად განხორციელება კოოპერატიულის იდეისა. რომ ასეთი მცირე შედეგი არ მოჰყვეს, ყველას საზრუნავს უნდა შეადგენდეს არსებულ კოოპერატივების ხელის შეწყობა პრაქტიკულის ცნობების მიწოდებით და რეალურის დახმარების გაწევით. უნდა დახმარება გაეწიოს იმ ორიოდ სოფლად მოქმედ პირებს, რომელთა ინიციატორობითაც იხსნება საკრედიტო კოოპერატივები. უპირველეს ყოვლისა, ამ აზრის განსახორციელებლად უნდა მოეწყოს მოკლე დროული კურსები საზოგადოთ კოოპერაციის და კერძოთ საკრედიტო ამხანაგობათა საქმის და ანგარიშის წარმოების შესასწავლად. კურსები უნდა მოეწყოს ისეთს დროს, როცა სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც მომეტებულ წილად არიან კოოპერატიულ იდეის გამტარებელნი სოფლად, თავისუფალნი არიან. ასეთ დროთ მიმაჩნია არდადეგები. კურსების მოწყობა უნდა ითავოს ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ, რომლის კოოპერატიულმა სექციამ ჯერ კიდევ გასულ წელს დაისახა მიზნად ასეთ კურსების მოწყობა. საჭიროა, რომ საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ გამოგზავნონ კურსებზე თავიანთ გამგეობის და საბჭოს წევრები (რასაკვირველია, რუსულ-ქართულ წერა-კითხვის მცოდნენი), რომლებსაც ხსენებული ამხანაგობანი აუნაზღაურებენ გზის და ზოგიერთ ზედმეტს ხარჯებს. ეს მისცემს ხელმოკლე ჩვენს სოფლის მასწავლებლებს საშუალებას კურსებზე დასწრებისას.

კურსების პროგრამაზე შემდეგ.

ს. ქ.

კვირიდან—კვირამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიღნაღის თავ.-აზნაურობის გადაწყვეტილება

9 იანვარს 1913 წელს სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობ-ს საერთო კრებამ დაადგინა: იმ ფულიდამ, რომელიც ერგება სიღნაღის თავად-აზნაურობას ახალ კანონის ძალით ნადელების გამოსყიდვაში **გადაიდოს 15% საერთო სასარგებლო საქმისათვის.**

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სიღნაღის თავად-აზნაურობის კეთილ მაგალითს სხვა მაზრების თავად-აზნაურობაც მიჰბაძავს ახლო მომავალში და კიდევ ერთხელ დაამტკიცებს, რომ ჩვენ თავ.-აზნაურობას ეროვნული სული არ გაჰქრობია.

მარშლის არჩევანი.

13 იანვარს ქართული თეატრის დარბაზში მოხდა საგუბერნიო მარშლის არჩევანი. პირველად ყუთი დაიდგა თავ. გ. ა. ბაგრატიონმა და მიიღო 135 თეთრი 152—შავი.

შემდეგ დაიდგა თავ. კ. ნ. აფხაზმა, რომელიც ამორჩეულ იქმნა ხმის დიდი უმეტესობით: მიიღო 235 თეთრი და 47—შავი.

კოკოვცევის და მაკლაკოვის თათბირი

სამინისტრო საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევს და შინაგან საქმეთა ახალს მინისტრს მაკლაკოვს ჰქონიათ თათბირი მახლობელ პოლიტიკის მიმართულებაზედ და იმ ცვლილებაზედ, რომელიც უნდა მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მინისტრები, სხვა საკითხთა შორის შეეხნენ ეროვნულ საკითხსაც. კოკოვცევი იცავდა იმ აზრს, რომ გამწვავება ეროვნული საკითხისა სასურველი არ არის, რადგან სხვა და სხვა ეროვნებათა ერთმანეთისადმი შუღლი, მძლავრ და ჯანსაღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ეწინაღმდეგებაო, მაშინ როდესაც სახელმწიფოსა აქვს სხვა უფრო დიდ-მნიშვნელოვანი საკითხები გადასაჭრელად და რომელთ სამართლიანი გადაჭრა ჩაუყრის მტკიცე საძირკველს საერთო კეთილდღეობას.

ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, მაკლაკოვი, სრულიად დაეთანხმა კოკოვცევის აზრს.

როგორც უკანასკნელი ამბებიდანა სჩანს, რუსეთის მთავრობა, როგორც ეტყობა, აპირებს ცო-

ტათი მაინც შეცვლას იმ უაზრო პოლიტიკისას, რომელსაც ძალად რუსიფიკაცია ჰქვიან.

სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდანაც კი გავიგონეთ კოკოვცევის ეროვნებათა (ინოროდცების) მიმართ „ტკბილი" სიტყვა.

რუსეთის სახელმწიფო საქმეები ისე გართულდნენ, სხვა სახელმწიფოთა მდგომარეობა და ახალი ისტორია ისე მკაფიოდ ამტკიცებს ეროვნებათა კეთილმზრუნველობით მოპყრობის საჭიროებას, საერთაშორისო მდგომარეობაც იმდენად მოჩრდილულია საომარი ღრუბლებით, რომ შესაძლებელია რუსეთის მთავრობის კეთილგონიერებამდისაც მიელწიოს ამ უბრალო, მარტივ და აწ ყველასაგან აღიარებულ იდეას. იქ, სადაც დავთრები ეკარგებოდათ ყველას, როცა ინოროდცებს გაახსენებდნენ,— დღეს ჩვენ გვესმის „კეთილმზრუნველობის" სუნი; და იქნება შორს არ არის ის დროც, როცა გარემოებათა ზეგავლენით, მთავრობა უფრო სალს და გონიერ პოლიტიკას მოეკიდება... სახელმწიფოებრივი ინტერესისათვის. და იქნება, ბატონი გრედესკულის ლექციის ნებართვაც (რომელიც მოგვყავდა ჩვენი ჟურნალის მეორე №-ში) ერთი პაწია რგოლი იყვეს ახალი კურსისა.

—

ამნისტია

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას განზრახული აქვს ამნისტია ბეჭდვით სიტყვის დამნაშავეთა და ადმინისტრატიულად დასჯილთათვის.

— —

აჯანყება ოსმალეთში

„ბუიუქ-დევლეთი"

ზავის საბოლოო გადასაწყვეტად ქიამილ ფაშამ მოიწვია ბუიუქ-დევლეთი—ეროვნული კრება. ამ კრებაზედ უნდა შეემუშავებინათ ის უკანასკნელი პირობები, რომლებიც დაედებოდნენ სარჩულად მომავალ ზავს. სხვათა შორის ამ პირობებში შედიოდა ადრიანოპოლის დათმობა. თუ რამდენად იყო მომხრე ქიამილ-ფაშა ასეთ სამარცხვინო ზავისა და რამდენად ხელოვნურად იყო მოწყობილი იგი, სჩანს იქიდანაც, რომ ეს ეროვნული კრება მხოლოდ ზავის მომხრეთაგან შესდგებოდა. ქიამილ-ფაშა ყველას საითთაოდ არიგებდა, რომ მისი აზრი დაედასტურებინა კრებას. ამ კრების დამახასიათებელ თვისებად ჩაითვლება ისიც, რომ მოსამსახურენი, რომლებიც სდარაჯობდნენ სადარბაზო ოთახს ყველა მუნჯი და ყრუ იყო.

სამშაბათს, პრინც საიდ-ხალიმის სასახლეში თავი მოიყარეს ახალგაზრდა ოსმალთა მეთაურებმა მაჰმად-შეფკეთ-ფაშამ, იზზათ-ფაშამ, თალაათ-ბეიმ, ჯავათ-ბეიმ და ხაკკი-ფაშამ, მათ შეიმუშავეს რეზოლუცია, რომლითაც სამხედრო დიქტატურა უნდა გამოეცხადებინათ, თუ ქიამილ-ფაშა დასთმობდა ადრიანოპოლს. დიქტატორად დასახელებული იყო შეფკეტ-ფაშა. მიუხედავათ ამისა, ახალგ. ოსმალებმა მაინც შეატყობინეს თავისი განზრახვა და სურვილი უმაღლეს ოფიცერთა კრების მოწვევისა ქიამილ-ფაშას, მან უპასუხა, რომ ადრიანოპოლის დათმობა უთუოდ მიღებული იქმნება ბუიუქდევლეთისგან და თუ ახალგ. ოსმალებს სურთ, შეუძლიან მიიღონ მონაწილეობა ამ კრებაზედ. ამაზედ ახალგაზრდა ოსმალებმა უარი განაცხადეს, მაგრამ საქმის ვითარება რომ კარგად სცოდნოდათ, კრებაზედ პრინცი საიდ-ხალიმი გაგზავნეს.

სამშაბათ საღამოს ბუიუქ-დევლეთმა გადასწყვიტა ადრიანოპოლის დათმობა.

ენვერ-ბეი

მრავალმა დამსწრემ და მათ შორის შეიხ-ულ-ისლაამმა შეატყობინა ახ.-ოსმალთა კომიტეტს, რომ ეროვნული კრება არა იყო რა, თვინიერ კომედიისა. შეიხ-ულ-ისლამმაც, რომელმაც ადრევე იცოდა, რომ კომიტეტი აჯანყებას აპირობს, განუცხადა შეფკეთ-ფაშას, რომ იგი მომხრეა სამშობლოს სირცხვილისგან ხსნისა. აჯანყების მოწყობა იკისრა ცნობილმა გმირმა ენვერ-ბეიმ და გარშემორტყმული თავისიანებით, რომლებშიაც მრავლად ერევნენ ოფიცრები და მოლები, შეიჭრა პორტაში. ამ დროს მინისტრები საუზმეს მიირთმევდნენ. იგი უშიშრად შევიდა ქიამილ-ფაშის კაბინეტში, ჯიბიდან გამზადებული თხოვნა ამოიღო და მედგრად შესძახა:

— მოაწერე ხელი, ბებერო მოღალატევ!

ქიამილ-ფაშამ, შეშინებულმა იმ ხმაურობით, რომელიც მოისმოდა ფანჯრიდან, აკანკალებულის ხელით უსიტყვოდ მოაწერა ხელი. რამწამსვე ენვერ-ბეიმ ეს დოკუმენტი ხელთ იგდო, იგი გაეშურა სულთანის სასახლისკენ, რომელთანაც აგრეთვე მრავალ ხალხს მოეყარა თავი.

— „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტის სახელითა გთხოვთ, თქვენო დიდებულებავ, მოაწეროთ ხელი მაჰმად-შეფკეთ ფაშის დიდ ვეზირად დანიშვ-

ნის დეკრეტს. ხალხი ქვევით უცდის თქვენს გარდაწყვეტილებას, უთხრა ენვერ-ბეიმ სულთანს.

ამ დროს სულთანის კაბინეტში შემოიჭრა მდივანი და უთხრა.

— ხალხი ღელავს. მოაწერეთ დეკრეტს ხელი, თქვენო დიდებულებავ.

სულთანმა უსიტყვოდ მოაწერა ხელი.

ნაზიმ-ფაშას მოკვლა

უარესი ბედი ხვდა ოსმალეთის სამხედრო მინისტრს და მთავარ სარდალს ნაზიმ-ფაშას. ეჭვი არ არის, რომ ნაზიმ-ფაშა მოჰკლეს იმავე ახ.-ოსმალებმა და არა მოკვდა, როგორც ამას თავდაპირველად იუწყებოდნენ. ამ საცოდავ ადამიანის სახელთან შეერთებულია ოსმალეთის ჯარის დამარცხება. რვა დღის წინად, ვიდრე აჯანყება მოხდებოდა, ენვერ-ბეიმ გაუგზავნა წერილი ნაზიმ-ფაშას არ დაჰყაბულებოდა ადრიანოპოლის დათმობას. ეს იყო იმ დროს, როცა ენვერ-ბეი ჩატალჯის პოზიციაზედ იმყოფებოდა და ნაზიმ-ფაშა კი სტამბოლში. როგორი პასუხიც გასცა ნაზიმ-ფაშამ ეს სჩანს ბეიუქდევლეთის დადგენილებიდან, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას უბედური მხედართ-მთავარი. მაგრამ სჩანს მისი აზრი წინადაც იცოდნენ მომქმედ ჯარის ოფიცრებმა, და სწორედ ამით აიხსნება, რომ სამშაბათ საღამოს ოფიცრებმა გადასწყვიტეს ბრძოლის გაგრძელება და ამავე დროს ენვერ-ბეი სტამბოლში გაგზავნეს, რომელმაც ასეთის სისწრაფით მოახდინა აჯანყება.

ახალგაზრდა ოსმალთა მოწოდება

„ერთობისა და პროგრესის კომიტეტმა", ყველა ამას შემდეგ, ასეთი მოწოდებით მიმართა ხალხს.

„იმ დროს, როცა ოსმალეთი ძლევა მოსილათ იბრძოდა აფრიკაში და ალბანიაში, რამდენიმე აფიცერმა, დაივიწყეს რა თავისი ვალი სამსახურის წინაშე, მთებს შეაფარეს თავი. საიდ-ფაშის კაბინეტმა შინაურ რევოლუციას წინ უყელა და გადადგა. ახლად მოწვეულ მუხთარ-ფაშის კაბინეტმა ძირიან ფესვიანად ამოაგდო მთავრობის ავტორიტეტი მით, რომ დაჰყვა ალბანიის აჯანყებულებს, რომელთაც ხელთ იგდეს უსკიუბი და გამოსდევნეს მთავრობის წარმომადგენლები. ოსმალეთის მთავრობის სისუსტე ბალკანეთის სახელმწიფოებმა ოსმალეთის სისუსტედ ჩასთვალეს. მუხთარ-ფაშის პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა ბალკანეთის სახელმწიფოთა კავშირს.—მიუხედავად ამ კავშირის წარმოშობისა მუხთარ-ფაშამ მაინც კიდევ, დაითხოვა ას ოცი ათასი კაცისაგან შემდგარი არმია რუმელიაში, რუსეთის მთავრობას სურდა ომი საგაზაფხულოდ გადაედო, მაგრამ მეფე ფერდინანდმა სთქვა: „ჩვენ ვერასოდეს ვერ ვეღირსებით კაბინეტს უფრო სუსტს, ვიდრე მუხთარ-ფაშის კაბინეტია".

„მუხთარ-ფაშისა და ქიამილ-ფაშის კაბინეტებმა არ შეუთანხმეს თავისი გეგმები გენერალურ შტაბის მოქმედების გეგმას და წინ წასწიეს ყოვლად უნიჭო გენერლები. იმის მაგივრად რომ ეწარმოებინათ ომი, აწარმოებდნენ საკუთარ საქმეთა პოლიტიკას. კაბინეტებმა, რომელთაც შესცვალეს ახალგაზრდა ოსმალთა მთავრობა, შესცვალეს მეომრობის და პატრიოტიზმის სული. დროებით ზავის ჩამოგდება მოკავშირეთათვის იყო სასარგებლო. მოლაპარაკების დროს მათ მისცეს მთელი რუმელია და ბოლოს „ბიუქ დევლეთი" დასთანხმდა ადრიანოპოლისა და კუნძულთა დათმობას. ამრიგად, სახელმწიფო გაყიდულ იქმნა და ქვეყანა სასიკვდილოთ იქმნა დაჭრილი."

მაჰმად-შეფკეთ-ფაშა

ეს შესანიშნავი სახელმწიფო მოღვაწე ხელახლად დასჭირდა ოსმალეთს. მისი დიდება დაიწყო **1909** წლიდან, როცა მან თავის სალონიკის არმიით მოახდინა თავდასხმა კონსტანტინეპოლზედ, ჩამოაგდო ტახტიდან აბდულ ჰამიდი და ხალიფების ტახტზედ მაჰმად V აიყვანა. ამ დღიდან, როგორც ოსმალეთის, ისე ევროპის თვალში მახმუდ-შეფკეთ-ფაშა ოსმალეთის სამხედრო ძლიერების განხორციელება იყო. მაგრამ მისმა ვარსკვლავმა მალე იწყო ქრობა. **26** თიბათ. **1911** წელს მაჰმად-შეფკეთ-ფაშა, მხსნელი კონსტიტუციისა აბდულ ჰამიდის მზაკვრობისაგან, უნიჭიერესი—მხედართ-მთავართ შორის, სამხედრო მინისტრი დიქტატორის უფლებით, იძულებული იყო განშორებოდა თავის ადგილს და, სჩანს მთავრობა ისე ალმაცერად უცქეროდა მას, რომ, როცა ბალკანეთის ომი დაიწყო, იგი არამც თუ არ იქმნა ჯარის მთავარ სარდლად დასახელებული, ჯარის ერთ-ერთი ნაწილის უმფროსობაც არ აღირსეს. მაგრამ ათ იანვრის ამბებმა მაჰმად-შეფკეთ-ფაშა ისევ წინ წამოაყენეს და იგი ეხლა პირველი პირია სახელმწიფოში, შემოსილი პირველ ვეზირის და დიქტატორის უფლებით.

თავადი კ. ნ. აბხაზი

ქართლ-კახეთის მარშლად ახლად არჩეული თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აბხაზი ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცია სულ 42 წლისა, კახელი, სოფ. კარდანახის მემამულე.

თავადი კ. აბხაზი დისწულია განსვენებულ დიდებულ ილია ჭავჭავაძისა.

თავად კონსტანტინე აბხაზმა საშუალო განათლება დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსში და კონსტანტინეს საartილერიო სამხედრო სასწავლებელი პეტერბურგში, რომლის შემდეგ გამოვიდა აფიცრად თბილისის გრენადერთა artილერიის დივიზიაში, სადაც დღეს ბატარეის უფროსად იმყოფებოდა.

თავადი აბხაზი, როგორც გაგვიგონია, კარგად არის ჩახედული ქართულ საქმეებში. სხვათა შორის, დიდი ხანია რაც მოღვაწეობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტში, იღებდა მონაწილეობას სხვა ქართულ დაწესებულებებში, ყველაფერში კარგად გამოცდილია და არც გაუჭირდება ჩვენი აწეწილ-დაწეწილ საზოგადო საქმეების მოვლა და გამოსწორება.

ძნელი დრო ხვდა წილად ახალ მარშალს... ის დრო, როცა წინანდელი მარშლები „ბალებით და ვეჩერებით“ გართულნი იყვნენ, წარსულმა შთანთქა... დღევანდელი ხანა მოქმედების და ჯაფა შრომის დროა... და თუ მივიღებთ მხედველობაში ეროვნულ მისიას ქართველ თავად აზნაურობისა სამშობლო ქვეყნის კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებაში, ეს შრომა და ჯაფა ორკეცდება... მაგრამ ვიმედოვნებთ რომ ახალი მარშალი ამას არ შეუშინდება; მით უმეტეს, რომ იგი ახალგაზრდაა, სულით და გულით ქართველი და შრომის მოყვარე.

თავ. პ. ი. თუმანიშვილის „განმარტებანი“

Жилъ-былъ у бабушки сѣренькій козликъ
Вздумалось козлику въ лѣсъ погуляти
Напали на козлика сѣрые волки
Остались отъ козлика рожки да ножки.

გვიან მოაგონდა თავ. თუმანიშვილს პასუხის გაცემა, ძალიან გვიან იმ ბრალდებაზედ, რომელსაც უკიჟინებდა მთელი ქართული პრესა და საზოგადოება მაგრამ სულ რომ გაჩუმებულიყო, ის ერჩივნა: იმდენი . . . . . მაინც არ წამოსცდებოდა, როგორც ეხლა გამოიჩინა, „ზაკ. რეჩის“ ფურცლებზედ (№ 10). აი მარგალიტებიც: „ბაგრატიონმა კახ. რკ. გზა გამოაცხადა, როგორც **უდიფიციტო** .....და თითონ ბაგრატიონმა 9 გიორგობისთვეს აღიარა, რომ ეს გზა 370,000 მან. ზარალს მოგვიტანს წელიწადშიო“.

კაცი უნდა პ. თუმანიშვილი იყვეს, რომ ესა სთქვას.

ჯერ ერთი ბაგრატიონს არას დროს არ უთქვამს, რომ გზა უდეფიციტო იქნება და თუ ეთქვა, —იმას როგორ ღა იტყოდა 370,000 მან. ზარალს მოგვიტანსო წელიწადში. მაგრამ საქმე იმაში ხომ არის, რას ამბობს და რას არა—თავ. ბაგრატიონი, საქმე სინამდვილეშია მხოლოდ, და ამ სინამდვილეს ასე ხატავს თავ. თუმანიშვილი: კახ. რკ. გზა ერთი სამად მეტ ზარალს მოგვიტანსო, რადგან მისი ნების დართვა პოლიტიკური ლგოტა იყო გალატაკებულ თავ.-აზნაურობისთვისაო. ამისთანა ლოლიკაც მარტო თუმანიშვილს და გვაზავას თუ ექნება: თურმე კ.რ.გ. 1.000,000—მან. ზარალს მოიტანს წელიწადში და ეს თურმე **ლგოტაა** ღარიბ

თავ.-აზნაურობისათვის. იქნება თვით თუმანიშვილმა მიიღოს საჩუქრად ესეთი **ლგოტა** და გვაზავასთან ერთად სანახევროდ იხადოს ეს ფანტასტიური ხარჯი? და წარმოიდგინეთ, რომ ასეთი ლოღიკური მსჯელობა აუშენებია თურმე ამაზედ, რომ ბაგრატიონისავით საზოგადოთ (грубые цыфры) კი არ აუღია ანგარიშები, არამედ, დაწვრილებით შეუსწავლია და ისე გამოუყვანია დასკვნა.

ეხლა შევადაროთ ეს სიტყვები იმათთან, რომელიც წამოსცდა (?) 9 ქრისტიშობისთვეს „კერძო თათბირზედ". მაშინ თუმანიშვილმა გადაჭრით ბრძანა მე ციფირებს არ ვიცნობ და მარტო იმ მოსაზრებიდან გამოვდივარ, რომ მაგისტრალი სჯობია ტოტსაო" (магистраль всегда лучше тупика). თუ თუმანიშვილი მაშინაც იცნობდა ამ ციფირებს, —რატომ არ დაუმტკიცა ბაგრატიონს სიცრუე მაშინვე და თუ მხოლოდ იმის **შემდეგ** შეისწავლა და დაინახა, რომ ციფირები მის მოსაზრებას ამართლებენ, რა პატიოსნება აძლევდა ნებას დეპუტატთა საკრებულოს წინააღმდეგ წასულიყო უფრო **ადრე** და იქ გაეყვანა თავისი, საცა ციფირების სინამდვილეც კი არ იცოდა და რამაც დაღუპვის გზაზედ დააყენა ჩვენი საქმე.

9 ქრისტიშობისთვეს თავ. თუმანიშვილი არამთუ სათვალავში არ იღებდა კავკასიონის საულელტეხილო გზას, იგი პირიქით დასცინოდა ასეთს „მომავალს მოსაზრებას" და ამბობდა: ეგრე რომ იყვეს, მაშინ ინდოეთის გზაც უნდა ვიანგარიშოთ და ვინ იცის სად წაგვიყვანსო; დღეს კი თვით თუმანიშვილი გვიმტკიცებს, რომ საულელტეხილო გზა უეჭველად კახეთისას შეუერთდებაო და.... ზარალს მოუტანსო(?) აი ამასა ჰქვიან: ჩემ გაკეთებულ ქოთანს, გინდა აქეთ მოვაბამ ყურსა, გინდა იქითაო.

თავ. პ. ი. თუმანიშვილი უფრო შორს მიდის და დასძენს: „იქნება გ. პ. თუმანიშვილის (ინჟინერია) ავტორიტეტი ცნობილია მეცნიერებაში, მაგრამ იმას ერთ რიგში ვერ ჩავაყენებ ისეთ ფაქტთან, როგორიც არის დასკვნა „ახალ რკინის გზათა კომისიისა", საცა იღებენ მონაწილეობას უტყუარი (несомнѣнные) სპეციალისტები." თავ. პ. ი. თუმანიშვილს ავიწყდება, რომ სწორედ ამავე **კომისიამ** დართო ნება და იცნო კახეთის რკ. გზა იმდენად სასარგებლოდ, რომ მთავრობის გარანტიაც კი აღუთქვა. თუ კი ისა სჯერა პ. ი., რომ კომისია არა სცდებოდა სილნაღ—ბაქოს გზის შესახებ, რატომ არა სჯერა ამავე კომისიისა კახ. რკ. გზის სარგებლობის შესახებ და უტიფრად იმეორებს გვაზავას წამოსროლილ სიცრუეს, —რომ ეს მხოლოდ ლგოტა იყოვო ლარიბი თავად-აზნაურობისათვის. თუ „ახალ რკ. გზათა კომისიის" ავტორიტეტს მართლა ესე მაღლა სდგავს, რაგორ მოახერხეს ბატ. თუმანიშვილმა, ტაგიანოსოვმა და ფეოდოროვმა ამ კომისიის შეცდომაში შეყვანა, პირდაპირ მოტყუება და როგორ აანგარიშებინეს **22 ვერსი** (გურჯაანიდან სიღნაღამდე), **რომელიც უკვე ეკუთვნის კახ. რკ. გზას, სილნაღ-ბაქოს გზის შემოსავლიან საკუთრებად?** როგორ მოახერხეს ამავე ამხანაგებმა ისეთი უცნაური რამ, რომ კომისია, რომელიც, ჩვეულებრივად, აკლებს და ამცირებს კონცესიონერების ნავარაუდევ ანგარიშს, ამ შემთხვევაში—უმატებს და ეუბნება: არა, თქვენა სცდებით და მეტი შემოსავალი გექნებათო.

აი, როცა ასეთი „უტყუარი" საბუთებით ამტკიცებს, რომ სილნაღ-ბაქოს გზა მოგებიანი იქნებაო, გადადის ისტორიულ მიმოხილვაზედ.

1908 წ., მართალია, თავ.-აზნ. საზოგადოკრებამ გამოსთქვა სურვილი კახ. რკ. გზის გაგრძელებისა ახმეტამდის ერთი მხრით და ზაქათალამდე მეორე მხრით; შემდეგ თვით თავ.-აზნ. წარმომადგენელთაც მოუვიდათ აზრი გზის გაგრძელებისა ნუხამდის. რა არის გასაკვირველი, რომ ამის შემდეგ, მე აზრი აღმეძრა გზის გაგრძელებაზედ ბაქომდისაო. მაგრამ ბაგრატიონი ამის წინააღმდეგ წავიდა და სრულებით ჩამომაშორა კახ. რკ. გზის საქმესაც, რომელსაც მე **ბევრი შევსწირე, პირადი შრომითაც და ფულითაცაო.**

აი, მგონი, აქ ისკვნება ის კვანძი, საიდანაც დეპუტატთა საკრებულოსა და თუმანიშვილის შორის განხეთქილება მოხდა: ბაგრატიონი ველარ ენდობოდა ორჯელ—სამჯერ არასასურველად მომქმედ თუმანიშვილს და ისიც, პირადი თავმოყვარეობის გამო, უფრო აღრმავებდა იმ საფრთხეს, რომელიც თითონ მოუმზადა კახ. რკ. გზას.

მაგრამ დამიხედეთ გონიერ თავადიშვილს, რომელიც **ბევრსა სწირავს პირადი შრომით და ფულითაც** იმ საქმეს, რომელიც, მისივე სიტყვით, მხოლოდ 1.000,000 მანეთის დეფიციტის მოტანა შეუძლიან ყოველწლივ. რა არის ეს, თუ არა... აბა, როგორა ვსთქვა... როცა კაცი ერთს იცრუებს და ამის გასამართლებლად კიდევ ათს უარესს სიცრუეს ზედ წაუმატებს.

ამას ხომ არ დასჯერდა თავ. თუმანიშვილი, რაკი შესტოპა ერთხელ, უნდა უეჭველად ყურებამდის ჩაიფლას და იცით რასა სწერს: სილნაღ-ბაქოს

გზის კონცესია სულ სხვებმა აიღეს და ჩემ შესვლას იმათ ამხანაგობაში **არავითარი მნიშვნელობა** არა ჰქონდაო: ისინი უჩემოდაც კარგა გაიყვანდნენო. იქნება თუმანიშვილს მეხსიერება ჰღალატობს, მაგრამ ჩვენ კი ყველას კარგად გვახსოვს მისი უტიფარი **კვეხნა:** „როცა მე მივმართე თხოვნით ტაგიანოსოვს და ფეოდოროვს შევედი ამხანაგობაში, მათ ანგარიშში მიიღეს ჩემი მდგომარეობა, როგორც ცნობილი ადამიანისა დ̃ ორთავ ხელით მომეჭიდნენო“ (они учли мое положеніе—они знали меня—и уцѣпились за меня) და ეს ისეთი რიხით იყო ნათქვამი, რომ არავისაგან ეჭვს არ მოითხოვდა, რომ ეს სიტყვები „არავითარი მნიშვნელობის“ დარია.

და ამის შემდეგ თქმა, რომ მე არავინ არაფერსა მკითხავდაო, გზა უცხოებს გაჰყავდათო, ცოტა არ იყოს უხერხულია.

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ ამას მაინც დასჯერდა თუმანიშვილი; იგი იმდენად გულუბრყვილოა, რომ იქვე სწერს: „ამხანაგებმა მე მომანდეს საქმე კონცესიის აღებისა და რეალიზაციისაო.“ მკითხველო, ცოტა ხომ არ გეჩოთირება, რომ იმ „ამხანაგებმა“, რომლებისთვის „არავითარი მნიშვნელობა“ არა ჰქონდა თუმანიშვილს, მასვე, ამ მართლაც „არავითარ მნიშვნელობის“ ტიკინს—მიანდეს არა მარტო კონცესიის აღება, არამედ რეალიზაციაც. ასე რომ ვიაროთ, ბატონო თუმანიშვილო, განა არ შეიძლება ითქვას: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ მე კახ. რკ. გზა დავღუპე, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმასაც, თუ მთელი საქართველო დაიღუპება; არავითარი მნიშვნელობა არა აქვს... თუ ქვეყანა დაინგრევა... ე. ი. ფილოსოფიურ ნიადაგზედ თუ შევდგებით—არაფერს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; მაგრამ როცა „ჩვენი კაცი“ ღუპავს ჩვენს საქმეს, არა მარტო უცოდინარობით, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ დაღუპვის განხორციელებაში—ამას **დიდი** მნიშვნელობა აქვს იმ საზოგადოებისათვის, რომლისაც აქამდის წევრად ითვლებით.

თავ. თუმანიშვილს არც ის ძველი ხრიკი დავიწყებია, რომელიც იხმარა გვაზავამ და სულ სიღნაღ-ბაქოს გზის გაყვანაზედ ლაპარაკობს, მაშინ როდესაც მთავარი ბრალდება იმაში იყო და რჩება ეხლაც, რომ თუმანიშვილს არ უნდა **შეეერთებინა** ეს ორი გზა. ყველა მოწინაამღდეგე გულმოდგინეთ ხელს აფარებს ამ გარემოებას, რადგან აქ არის დამარხული მათი უბედურება. აი, მაგ. პ. თ. მოჰყავს ბაგრატიონის წერილი, საიდანაც ასეთი დასკვნა გამოჰყავს: მაშასადამე, 1) ბაგრატიონისათვის საიდუმლოებას არ შეადგენდა ჩემგან სიღ.-ბაქოს გზის კონცესიის აღებაო. 2) გაგრძელება გზისა ნუხამდის ყოველთვის სახეიროდ მიაჩნდაო 3) სურდა ამ გაგრძელების დახსნა სხვათა კლანჭებისაგანაო, მაგრამ ამისათვის **ჩემთან** კი არ იჭერდა საქმეს, არამედ სხვებთანაო.

1) რასაკვირველია, ბაგრატიონისათვის და არც არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენდა სიღ.-ბ. კონცესია, მაგრამ იმას კი ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თუმანიშვილი, ტაგიანოსოვი და სხ. ვერაგულად თავის კონცესიას მიჰყიდდნენ იმ ბანკს, რომელიც კახ. რკ. გზას ამით დაღუპავდა. ყველასათვის საიდუმლოება იყო, რომ თუმანიშვილი თავისი პირადი ინტერესებისათვის ღალატობდა საერთო ინტერესებს, არავინ არ იცოდა, რომ ერთ კერძო თათბირზედ თუმანიშვილისაგან ასეთ სიტყვებსაც კი გავიგონებდით: „ბატონებო, გგონიათ, რომ ეს შეერთება ჩემი კერძო ინტერესებისათვის მოვახდინე, რომ ამაში მე ფული მივიღე? არა მე, მხოლოდ ის დავიბრუნე, რაც დამეხარჯა, მაგრამ ჩემი და ჩემი ამხანაგების (ფეოდოროვ ტაგიანოსოვ) მიზანი იყო რათაც უნდა ღირდეს (**во что бы то ни стало**) სასწრაფოდ გაგვეყვანოთ ეს გზა, რადგან შემახასთან ჩვენ გვაქვს ნავთის მიწები (**нефтеносныя дженгинскія земли**) და აი, ამ მიწის ფასის ასაწევად და დასამუშავებლად გვიჭირდა იგი“.—მერე განა რა დააკლდებოდა ამ მიწებს, რომ ს.-ბ. გზა **ცალკე** ყოფილიყო? (ჰკითხეს პ. თუმანიშვილს). ამაზედ მან ბრძანა: „ჯერ ერთი ეხლა კოკოვცევი დიდ შეღავათს აძლევს კერძო ინიციატივას და უნდა გვესარგებლა ამით, რადგან ამის შემდეგ საკითხი რკინის გზებისა სახაზინოდ გადავა სახელმწიფო სათათბიროს ხელში და კერძო კონცესიების აღება შეუძლებელი გახდება, მერე, ომს და საერთაშორისო განწყობილებათ, შეეძლოთ შეეფერხებინათ ს.-ბ. კონცესია და ბოლოს, ჩვენ ძალიანა ვჩქარობდით: ცალკე კონცესიის განხორციელება ბევრად უფრო ძნელდებოდა და როგორც გაგრძელებას—მაშინვე უშოვეთ სარეალიზაციო თანხა“. ბატონო პ. ი. თუმანიშვილო, იქნება კეთილ ინებოთ და მოიგონოთ ეს საგულისხმიერო თქვენი სიტყვები?! და მაშინ დარწმუნდებით, რომ **შეერთება** ყველასათვის **მოულოდნელი** ღვთის რისხვა იყო, რომელიც **თქვენ საკუთარ ჯენგინის ნავთის გულისათვის დაატეხეთ თავადაზნაურობას.** და დაატეხეთ მარტო იმიტომ, რომ **გეჩქარებოდათ,** მარტო იმიტომ, რომ ძალიან შე-

საძლებელია და იქნება სწორედ ასეც ყოფილიყო, რომ თქვენ ს.-ბ. კონცესიას, როგორც საზარალოს, არამთუ მთავრობის გარანტიით ისე უპრალოდაც ვერ ელირსებოდით. მაგრამ თავ.-აზნ. კონტრაგენტ ბანკებს საღერღელი აეშალათ, იგრძნეს რომ ფულის მოხვეჭა შეიძლება გულუბრყვილო ბირჟაზედ, რომლის ფსიხოლოგიას კარგად იცნობენ, თქვენ მიერ მოწმად წამოყენებული ფინანსისტები: (გზა ფართოვდება საქმე კარგად მიდის ალბად, ვიყიდოთ მისი ქალალდებიო) და მახეში გაგაბეს თქვენც. ფინანსისტები თავის ფულს გაინალდებენ და მერე თუნდა ორთავ გზა წყალსაც წაუღია. მაგრამ მახეში გაბმა ზოგჯერ სასურველიც არის და თქვენც ძალად გაებით ამ მახეში, რადგან **გეჩქარებოდათ** ჯენგინის ნავთის შადრევანების ამოხეთქა: აბა გულწრფელად გაიმეორეთ ის თქვენი „წამომცდარი“ სიტყვები.... წამომცდარი, ვამბობ, რადგან მაშინ გვაზავები, გრუზინები და მათნი დამქაშნი ჯერ ვერ გისწორებდნენ სტილსა დი მსჯელობას.

რაც შეეხება იმას, რომ ბაგრატიონი ყოველთვის მომხრე იყო კახ. რკ. გზის გაგრძელებისა ნუხამდის—ესეც ვერაფერი საბუთია იმისა, რომ თქვენ უნდა ბ ა ქ ო მ დ ი ს გემგზავრათ და იმით დაგელუპათ კახ. რკ. გზ. ბაგრატიონი, როგორც ფრთხილი და ფხიზელი ადამიანი ყოველთვის შიშობდა, რომ **ერთბაშად** დიდი საქმის დაწყება, როცა სრულიად გამოცდილი და დახელოვნებული არ იყო თავ.-აზნაურობა, ჭირად არ გადაჰქცეოდათ და, რასაკვირველია, თავ.-აზნ., ვერ აჰყვებოდა თქვენ პლანებს: ავიღოთ კონცესია და გავყიდოთო; ვერ აჰყვებოდა ასეთს სპეკულიაციას, რადგან... ჯენგინის ნავთის წყაროები არ აგონდებოდა, არ მოიაზრებდა, რომ თუმანიშვილის ნავთი საბედისწერო სამსალად გადაექცეოდა.

მესამე მუხლის შესახებ, საცა ბაგრატიონი თურმე სცდილობდა ამ „ნუხამდის გაგრძელების“ დახსნას სხვათა კლანჭებისაგან, უნდა მოგახსენოთ, რომ პ. თ. ერთხელ კიდევ საცოდავ მდგომარეობაში ვარდება; რატომ ჩემთან არ დაიჭირა საქმეო. თითქო ისე გამოდის, რომ ჯიბრზედ იყო და რაკი იმასთან არ დაიჭირეს საქმე—ისიც წინააღმდეგობას უწევს. მაგრამ როგორ უნდა დაეჭირათ მასთან საქმე, როცა იგი სისტემატიურად ლალატობდა ამ საქმეს და ციხეს შიგნიდან სტეხავდა და მეორეც, განა თითონ არ ამბობს ქვემოდ, რომ ამ შეერთებაში მას „არავითარი მონაწილეობა“ არა ჰქონია, რომ ბანკებთან შეკრულ პირობაში, ერთი სიტყვაც არ არის შეერთების შესახებ, რომ მათ მარტო უნდა აეშენებინათ ს.-ბ. გზა და სხვა არაფერი. მაშ რატომ მასთან უნდა დაეჭირა საქმე ბაგრატიონს? მაგრამ თუ გავიხსენებთ ზემოდ ხაზგასმულ სიტყვებს, ჩვენ დავინახავთ, თუ რამდენად უტიფროა ასეთი მსჯელობა.

დავყაბულდეთ ერთ წუთს იმასაც, რომ თუმანიშვილმა გაჰყიდა მხოლოდ თავისი კონცესია და არ მოუფიქრებია, თუ აქედან რას გამოიყვანდნენ ხსენებული ბანკები, მაშასადამე არც დამნაშავეა ამ შეერთებაში.—სად იყო იგი თუმანიშვილი, როცა ბანკები ამ შეერთებასა **სწყვეტდნენ**, ე. ი. როცა კახ. რკ. გზის დალუპვასა ლამობდნენ? რატომ არ წინააღუდგა ამ განზრახვას, რატომ არ შეჰყარა თავ.-აზნ., რატომ განგაში არ ასტეხა? არ ესმოდა, არ შეეგნო განა, რომ ეს დალუპვას მოასწავებდა თავ.-აზნ, საქმისათვის? მაგრამ როცა ადამიანი ორს ღმერთს ემსახურება, ყოველთვის ძნელია სიმართლის ლელოს გატანა. აკი დაიჩივლა კიდეც თუმანიშვილმა 9 ქრისტიშობის კრებაზედ: მე ჩემი ამხანაგები (ტაგიანოსოვი და ფეოდოროვი) მოღალატეს მეძახიან, მისაყვედურებენ: კახ. საზ. ეგრე რად ესიყვარულებიო და... საყვედურის დეპეშებიც წაგვიკითხა,—თქვენ კი მაბრალებთ იმათ ინტერესების დაცვასაო. და განა ეს ყოველთვის ასე არ არის, აბა მოიგონეთ აკაკის „ლამურა“, რომელიც ალარც თაგვებმა მიიღეს და ჩიტებმაც ჩაუნისკარტეს. ეგრე დაემართება ყველას, ვინც.... „отъ насъ отсталъ и къ другимъ не присталъ“.

ვსთქვათ მართალია, რომ ბანკებმა მ ი ს დ ა უ ნ ე ბ უ რ ა დ მოახდინეს ეს შეერთება, რატომ თუმანიშვილი მაშინ მაინც ვერ მიხვდა, რომ იგი შეერთება თავ.-აზნ. საზარალოა, როცა თავ.-აზნ., მთელი საზოგადოება, პრესა აყაყანდა ამაზედ და პირიქით იგი ამტკიცებდა თავის იურიკონსულტ გვაზავას და სხვათა პირით, თითონაც გადაჭრით ამბობდა, რომ ეს შეერთება სასარგებლოა. განა დაავიწყდება ვისმე ის „ისტორიული“ სიტყვები, როცა მან განაცხადა: „მე არ შემეძლო ოთხი მაზრის ინტერესებისათვის მენაცვალა მთელი მხარის ინტერესები და თავ.-აზნ. ჭირვერლობისათვის შემეწირაო“.

რ. ბ.

(შემდეგი იქნება)

მწვავე საკითხი

საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებას ეხლა არ შეიძლება იმედიანად არ შეხედოს კაცმა როცა ხედავს რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი სამშობლო ახალ გზების ძიებაშია.

ააშენეთ! გამდიდრდით! განავითარეთ ქვეყნის მწარმოებელი ძალები, მოაწყეთ ყოველ გვარი ეკონომიური ორგანიზაციები, ჩაუნერგეთ მათ ეროვნული სული და ამ გალესილ იარაღით ამაყნი და ძლიერნი, გამოდით საბრძოლველად თავის ეროვნულ უფლებათა დასაცავად.

უამისოდ ჩვენი ბრძოლა, ბრძოლა არსებობისათვის უნაყოფო იქნება და ჩვენი იმედები ქვეყნის კეთილ მომავლისა ფუჭად დარჩება!.

ასე ულმობელად უკარნახებს მე-XX საუკუნე თანამედროვე წელში მოხრილ და დაჩაგრულ ქართველობას. სიმართლეს არ იქნება მოკლებული, თუ ვაღვიარებთ, რომ დღეს ქართველობამ შეიგნო კიდეც ეკონომიურ აღორძინების მნიშვნელობა ქართველ ხალხის აღორძინება-გაძლიერებისათვის და აქა-იქ შეუდგა ამ ნაკარნახევის განხორციელებას — აშენებას. აწყობს ახალ ეკონომიურ ორგანიზაციებს სოფლებში და ქალაქებში, იკვლევს ქართულ ეკონომიურ ცხოვრების საკითხებს ადგილობრივ, კრებებზედ, გაზეთებში. აი, დღესაც წამოყენებულია ჩვენში ახალი საკითხი სამელიორაციო კრედიტის მოწყობაზედ, გუშინ ბევრს ლაპარაკობდნენ და კამათობდნენ ქართულ საკომერციო ბანკის დაარსებაზედ. ხვალ გლეხთა საკრედიტო კავშირის მოწყობა მოგველის და სხვა ამ გვარი...

მაგრამ საუბედუროდ, როგორც უწინ, ისე დღესაც ქართველობის პრაქტიკულ მუშაობას ქართულ ეკონომიურ ცხოვრების სფერაში ერთი თვალსაჩინო ნაკლი მისდევს გვერდში და ძალიან აფერხებს საქმიანობას და მეცადინეობას.

როდის ხდება ეკონომიური ძალა ე რ ო ვ ნ უ ლ ძალად.?

როდესაც ის, ეროვნულ ქონებრივ სიმდიდრის შექმნასთან ერთად სასტიკად იცავს სამშობლო მიწა-წყალს, ეროვნულ კულტურას, დედა ენას... როცა იგი გამსჭვალულია ერთის მიზნით და გრძნობით.

წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული ძალა შესაძლოა მტრის იარაღად გახდეს და ვაი იმ ერს, რომელიც მაშინ ამ იარაღით დაიჭრება. ძნელად ღა ადგება.

დღევანდელი ქართული ეკონომიური საკითხებიც მჭიდროდ არიან გადაბმულნი [illegible] ქართულ ერის საერთო ჭირ-ვარამთან, მის ეროვნულ იდეალებთან და მისწრაფებასთან.

და რაც უფრო მაგრად იქნებიან შედუღებულნი ერთმანეთში, მით უფრო ძალას შეიმატებენ წინ სვლის გზების გაკაფვაში და შეამოკლებენ დროსაც საერთო მიზნის მისაღწევად... მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ამ მხრივ ჰკოჭლობს ქართული საქმიანობა ეკონომიურ დარგში, რადგანაც მოკლებულია მჭიდრო იდეურ და პრაქტიკულ შედუღებას თავის მოღვაწეობაში, მოკლებულია საერთო ეროვნულ ეკონომიურ გეგმასა. და ქართული მოქმედება ამიტომაც იფანტება, იქსაქსება და ჰქმნის იმ ნაირ პირობებს, რომ ჩვენ ბევრ კეთილ განზრახვას, განხორციელებულსაც კი, სარგებლობის მაგიერ ვნებაც კი მოაქვს.

ამ მხრივ, მაგალითად, შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას იმაზე, თუ რა რიგად უვლიდნენ და უვლიან დღევანდლამდის ზოგიერთი ჩვენი ეკონომიური დაწესებულებანი მწვავე და ჩვენი ყოფნა არყოფნის საკითხებს—ქართულ მიწა წყალს, რომელიც საშინელის სისწრაფით ქვეშიდან გვეცლება და გადადის უცხო ტომთა ხელში.

ოფიციალურ ცნობით, 1905 წლიდამ 1910 წლამდის ამიერ კავკასიაში უცხო ტომელებს მოუწყვიათ თავისთვის 261 სოფელი და გადმოსახლდა 54,000 კაცი, რუსეთის და სხვა და სხვა კუთხიდან! აქედამ, შეუძენია მიწა საქართველოში და დასახლებულა სოფლებად ერთი მესამედი!...

ეს მარტო 5 წლის განმავლობაში! ამიტომ, ზემო-ხსენებულ საკითხის გამოკვლევას ფრიად დიდი მნიშვნელობა ეძლევა; მით უმეტეს, რომ ეს იქნება საუკეთესო დამამტკიცებელი მაგალითი იმ მავნებლობისა, რომელიც მოაქვს დაქსაქსვას და გაფანტულობას ჩვენს საქმიანობაში მთავარ ეკონომიურ საკითხის გარშემო — ე. ი. ქართულ ტერიტორიის მოვლა-დაცვის საქმეში...

ქართულ მიწა-წყალის მოვლა-პატრონობა იკისრეს ამ 30 წლის წინად ქართულ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკებმა.

როგორც ყველა იპოტეკურ დაწესებულებას, ისე ქართულ იპოტეკურ საადგილ-მამულო ბანკებს ჰქონდათ მიზნად მიშველებოდნენ ქართულ მემამულეებს კრედიტით მეურნეობის ასაყვავებლად და

მოსაგვარებლად... მაგრამ, როგორც სხვაგან—დასავლეთ ევროპაში და რუსეთში ამნაირ დახმარებამ სარგებლობის მაგიერ, ზიანი მიაყენა მემამულეებს, ბამულების ძალზედ დავალიანებით,—ისე საქართველოში, ხსენებული ბანკები მძიმე ტვირთად დააწვნენ ქართულ მამულებს, ვალებით გაავსეს ისინი და მეურნეობის აყვავების მაგივრად, განადგურება და დაქვეითება შეიტანეს.

ამ დავალიანებამ და დაქვეითებამ თან მოიტანა მიწის ფასის დამცირება, რომელსაც მოჰყვა აუცილებელი მისი შედეგი—მიწის მობილიზაცია. 1905 წლიდამ ეს მობილიზაცია მეტად მწვავდება. საქართველოს მიწისმფლობელობის სურათს აწერია: იაფად იყიდება!

და მართლაც, იყიდება ქართული მიწა-წყალი, იყიდება სოფლები, იყიდება ქალაქები, ქართული მონასტრები, საყდრები...

თუ დასავლეთ საქართველოში, სხვა პირობების გამო ამ მობილიზაციას ქართულ მიწის მფლობელობისთვის დიდი ზიანი არ მოუტანია, ქართლ-კახეთში ეს მობილიზაცია სახიფათოდ გადაიქცა და დღესაც საფრთხეშია, რადგანაც აღმოსავლეთი საქართველო მეტად საყურადღებო რაიონია სხვა და სხვა უცხო პოლიტიკოსებისათვის და მათ საპოლიტიკო ასპარეზად გახდა. ქართლ-კახეთს ეტანება რუსი, სომეხი, თათარი, ბერძენი. ეტანება გაშმაგებული და თუ ამ 3 წლის წინად იძლეოდა დესეტინაში 70-80 მანეთს—ეხლა რაკი განსაზღვრული მიმართულება მიიღო საკითხმა და აქაური მიწა გაუტკბა, ხარჯს აღარ ერიდება და 200—500 მანეთსაც იძლევა.

ქართულ ქალაქების—თბილისის, თელავის, სიღნაღის, გორის, ახალციხის, ახალქალაქის მიწები და სახლები თუ მთლად არ გადავიდა ჯერ სომხის ბურჟუაზიის ხელში ხვალ აუცილებლივ უნდა გადავიდეს. ეს ხომ ფაქტია, ფაქტი ულმობელი!

რას აკეთებდა, ან რას აკეთებს დღეს, მაგალითად, ამ შემთხვევაში ძლიერი ქართული საადგილ-მამულო ბანკი თბილისში? დიდის მხნეობით უწყობდა და უწყობს ხელს ხსენებულ მობილიზაციის გამწვავებას და ქართულ მიწა-წყლის სხვის ხელში გადასვლას; ერთის მხრივ მამულების დავალიანებით, მეურნეობის დაქვეითებით – მეორე მხრივ უიდეო და უმიზნო მოღვაწეობით ქართულ მიწის საკითხის გარშემო. მისმა აპოლიტიკოსობამ იქამდისაც კი მიიღწია, რომ იმ მამულებსაც კი, რომელიც ბანკს საკუთრებად რჩებოდა, ბანკის მართველობა დიდის სიხარულით თავიდან იშორებდა სხვებზედ გაყიდვით. და თითსაც არ ანძრევდა, რომ ერთი ქართული მამულიც არის გადაერჩინა სხვის ჩაყლაპისაგან.

ბანკის რწმუნებულთა წარსულ კრებაზედ ერთს განათლებულ ქართველს ახლო მდგომს ბანკის მმართველობასთან—წარუდგენია კრებისათვის საუცხოვო მოხსენება... ამ მოხსენებით ავტორი უმტკიცებდა ქართულ საადგილ მამულო ბანკის მოღვაწეებს, რომ ის მამულები, რომელიც დარჩა ბანკსა, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში, ბანკმა უსათუოდ უნდა მოიშოროს თავიდამაო, თუნდა საჯაროდ დესეტინა ერთ მანეთად გაიყიდოსო. ამ აზრს ასაბუთებდა—დარჩენილ მამულების გამოუსადეგრობით, მცირე შემოსავლობით კლდე-ღრეებში მოქცევით... ტყუილად ვხარჯავთ ფულსა მათ პატრონობაზედაო... ვურჩევ ბანკს, გაჰყიდოს ყველა თავისი მამულები ვისზედაც სურს, გინდ 1 მანეთად თითო დესეტინაო!..

ასე ბრძანებდა განათლებული ქართველი ბანკირი!

ასე რომ, შვეიცარიამ, ნორვეგიამ და ფინლანდიამ, მისი ლოლიკით თავისი სამშობლო მიწა-წყალი უსათუოდ უნდა ჰყიდოს, რადგანაც $^3/_4$ მათი ტერიტორიისა კლდე-ღრეებისაგან შესდგება. მაგრამ არც ის იყო მართალი, რომ საქართველოს კლდე-ღრეები არ ვარგოდნენ ან არ ფასობნდენ... ამ ორი კვირის წინად ერთ კავკაველ რუსთა ჯგუფმა შეისყიდა ქართ. ბანკისაგან ვეებერთელა კლდე-ღრე მამული სამაჩაბლოსი 24,000 მან.!

ეს მოხსენება განათლებულ ქართულ ბანკის მოღვაწისა მარტო იმის მაჩვენებელი იყო, რომ თბილისის ბანკი არ ფიქრობს იმაზედ, თუ რას უშვრება იგი ქართულ მიწის მფლობელობას ქართლ-კახეთში... მაგალითად, მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს ქალაქებში და დაინახავთ, რომ ჩვენი თბილისის ბანკის უიდეო და უმიზნო მოღვაწეობამ მიწის საკითხში არამთუ დახმარება არ გაუწია თავის ხალხს მიწის გადარჩენაში, გამაგრებაში, როგორც მაგალითად პოლონეთის საადგილ-მამულო ბანკები იქცეოდნენ და იქცევიან, არამედ მრავალი მიწები და სახლები ქართველობას გაუყიდა და უცხო ტომელებს გადასცა—მეტადრე სომხებს... ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მოღვაწეობას, მართალია ამ მხრივ ვნება არ მოუტანია, რადგანაც, როგორცა ვსთქვით, დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ტერიტორიალური საკითხი უფრო უკეთეს პირობებში იმყოფება... მაგრამ ღმერთმა უწყის, თუ ქუთათური მოღ-

ვაწეები ჩვენსავით გულგრილობით ეკიდებიან მიწის საკითხს—მალე იქაც მიეშველება ბანკი სამშობლო მიწა-წყლის გაფლანგვას... ხომ ცნობილია, რომ შავი ზღვის ნაპირებს ემუქრებიან; მაშასადამე, დასავლეთ საქართველოსაც მოელის განსაცდელი! მაგრამ ვინ შეეშველება ან უპატრონებს ამ რაიონის ქართველ მესაკუთრეობას...

ამ რიგად, ქართულ საადგილ-მამულო ბანკებს, მეტადრე თბილისისას დიდი დანაშაული მიუძღვის ქართულ მიწის საკუთრების წინაშე... და მათ მომავალ მოღვაწეობაშიც ვერ ვხედავთ სურვილს ამ საშინელ მდგომარეობის გამოსწორებისა და ახალ გზების ძიებისას...

დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც ჩარეულია ბანკის საქმეებში, უწინდელსავით გართულია ჯგუფობრივ ბრძოლით „აცენჩიკების და დირექტორების" საარჩევნო ყუთების გარშემო.

მწვავე, სამშობლო მიწა წყლის საკითხი კი უკუგდებულია და რა გასაკვირველია, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელი პანღურსა გვკრავს და ჩვენ ადგილებს იჭერს.

ამბობენ... ჩვენი საადგილ მამულო ბანკები ბევრს კულტურულ დაწესებულებას ინახავენო.. მაგრამ ვაი იმ „შენახვას", რომელიც ქართულ მიწა-წყლის გაყიდვაზედაა დამყარებული. ეს ერთხელ კიდევ ჩვენი მომქმედ ინტელიგენციის ანორმალურ და დაფანტულ მოქმედების დამამტკიცებელია და მაჩვენებელი იმისა, რომ მართლაც ჩვენ ეროვნულ მოღვაწეობას თავი არა აქვს, არა აქვს გარკვეული მიზანი და ძალთა შეთანხმება.

მაგრამ ისიც მართალია, რომ ზოგმა ქართველმა იგრძნო ეს საშინელი მდგომარეობა და უკანასკნელ წლებში სცდილობნდენ საქმის გამოსწორებას. მაგალითად, თავად-აზნაურობამ დააარსა საადგილ-მამულო კამისია, რომელსაც მიზნად ჰქონდა—მიეშველოს ქართულ მესაკუთრეობას... მაგრამ იქ, სადაც გაფუჭებული საქმე მილიონის [illegible]იზომებოდა—ორიოდე გროშით სალაროში და გარს შემოხვეული ჩამჭაჭებულ ინტელიგენციის გულგრილობით, ბევრი რამ გაკეთდებოდა?.. მაინც მის მოღვაწეობამ 6 წლის განმავლობაში 40,000 დესეტინა მიწა შეანარჩუნა ქართველ ხალხს.

საადგილ-მამულო ბანკებმა უნდა აანაზღაურონ თავისი დიდი დანაშაულობა არა ერთი-ორიოდე გროშით, არამედ გამოიღონ სპეციალური თანხები თავად-აზნაურობისაგან სანადელო ფულის შეკრებასთან ერთად მოაწყონ იმნაირი დაწესებულება, რომელიც მართლაც მიეშველება ფართო კრედიტით ქართველ ხალხს სამშობლო მიწა-წყლის დაცვაში... **მიწის ყიდვაში, მელიორატიულ საქმის მოწყობაში და ახალ სამეურნეო ცოდნის და მეთოდების გავრცელებაში.**

ეს იქნება ძლიერი საფუძველი მომავალ ჩვენი ეკონომიური სისტემისა...

და თუ დღეს ჩვენი ეროვნული მუშაობა მოკლებულია მთლიანობას, დაქსაქსული, უნაყოფოა, იმით აიხსება, რომ მას ეს საფუძველი აკლია; ამიტომაც საერთო ეროვნული საქმიანობა ქვიშაზედაა აშენებული.

როგორ უნდა მოეწყოს პრაქტიკულად ეს დაწესებულებანი, ამას, მეორე წერილში ვეცდებით გამოვარკვიოთ.

დავით კახელი.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობა *)

II.

თავად-აზნაურობა და მისი საქმიანობა ბევრნაირად შეიძლება შეაფასოს ადამიანმა: ჩვენ შეგვიძლიან განვიხილოთ იგი, როგორც ერთგვარი სახელმწიფო, ოფიციალური დაწესებულება, შეიძლება ვხედავდეთ მასში განსაზღვრულ წოდებრივს ერთეულს, ეკონომიურს ორგანიზაციას, კულტურულ ძალას და სხვ. და სხვ. იმისდა მიხედვით: თუ რა საზომით მივუახლოვდებით ამ დაწესებულებას და რა მოთხოვნილებას წარვუდგენთ მას, სხვა და სხვა დასკვნას გამოვიტანთ მის ვითარების შესახებ.

ჩვენ ამ ჟამად გვაინტერესებს თავად-აზნაურობა მარტოდ-მარტო, როგორც **კულტურულ-ეკონომიური ძალა,** როგორც დაწესებულება, რომელიც ზურგს უმაგრებს, ასაზრდოებს თითქმის ყვე-

*) იხ. № 2 (შეცდომით, წარსულ ნომერში იყო დაბეჭდილი „ჩვენი თავად-აზნაურობა").

ლა ჩვენს კულტურულ დაწესებულებას, სამსახურს უწევს ამით მთელს ქართველ ერს.

ამ მხრივ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის მოქმედება ერთობ საყურადღებოა, ის ვიწრო წოდებრივ ფარგლებსა სცილდება და ფართო ეროვნულ სახეს იღებს. უმთავრესი ნაწილი თავად აზნაურობის სიმდიდრისა ჰხმარდება არა თავად-აზნაურობას და მის წარმომადგენელთ, არამედ ქართულ ეროვნულ ინტერესებს, მათს შეძლების და გვარად დაკმაყოფილებას.

მაგალითად, უკანასკნელ ხარჯთა აღრიცხვის მიხედვით. (1912 წ.) თავად-აზნაურობის წლიური წმინდა შემოსავალი შეადგენს 311.013 მ. 19 კაპ.

თუ აქედან გამოაკლებთ 124.953 მანეთს და 8 კაპეიკს, რომელიც ქარვასლაზე და ელექტრონის სადგურზე იხარჯება, დაგვრჩება 186.060 მან. და 11 კაპ., რაც შემდეგ საგნებს უნდება:

სათავად-აზნაურო გიმნაზიას	80,000 მან.
სტიპენდიები უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში	8,000 —
ქართულ თეატრს	12,540 —
წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას	5,000 —
წინამძღვარიანთ კარის სკოლ.	5,000 —
სხვა და სხვა საზოგადოებას (საისტორიო საეთნოგრაფიო, სიტყვა კაზმულ მწერლობისა და სხვ.)	11,800 —
ქართულ მუზეუმს	5,000 —
კახეთის რკინის გზის ხარჯი	2,000 —
აგრარულ კომისიაზე	45,135 მ. 40 კ.
სულ	175.476 მ. 40 კ.

ესე იგი თითქმის მთელი წლიური შემოსავალი თავად-აზნაურობისა ჰხმარდება ქართულ ეკონომიურ დაწესებულებებს, რომელთა ფართო ეროვნული ხასიათი და მნიშვნელობა ყველასათვის ეჭვს გარეშე უნდა იყოს.

ჩვენ 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვა დავასახელეთ, როგორც მაგალითი. დანარჩენ წლების ანგარიშები ასეთისავე ხასიათისა არიან. ასეთსავე დიდს, უდიდეს ნაწილს შემოსავლისას ანდომებენ ჩვენს წმინდა ეროვნულ დაწესებულებათ; ციფირები, დაუმუშავებელი სტატისტიკური მასალა ამბობს ამას, საქმე ლაპარაკობს? — საქმე ლაპარაკობს და არა სიტყვა...

ძნელი წარმოსადგენია, რა მიმდინარეობას მიიღებდა ჩვენი ეროვნული ცხოვრება, ხსენებული ძლიერი დახმარება რომ არ ეძლეოდეს ჩვენს დაწესებულებათ თავად-აზნაურობის მხრივ: ვერც ქართული თეატრი, ვერც ქართული გიმნაზია, ვერც სხვა მრავალი ამისთანა დაწესებულება ბევრ ხანს ვერ იბოგინებდა და თუ იბოგინებდა, მეტად უფრო ნაკლებ პოტენციალურ ძალას შეიცავდა, ვიდრე ახლა თავად-აზნაურობის ნივთიერი დახმარების წყალობით.

მაშ რატომ არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ჩვენს თავად აზნაურობას, რატომ არ უნდა ვცდილობდეთ მისს გაძლიერებას, გამდიდრებას! განა ამით პირველ ყოვლისა ხელს არ შევუწყობდით ჩვენს ეროვნულ აღორძინებასა?!

კვლავ მაგონდება სომეხი ერი, მისი დიაღ რომ გონივრული პოლიტიკა, მიმართული საშობლო ეკლესიის ძლიერების განმტკიცებისაკენ... განა რომ მისაბაძია ამ შემთხვევაში სომხების მაგალითი, მათი საზრიანი მოქმედება. ხშირად გამიგონია სომხებისაგან ასეთი სიყვები: „იცით, რას ვიზამდით, თქვენი თავად-აზნაურობა რომ ჩვენი იყოს! რაცა ვართ, ერთი-ათად ვიქცეოდით!“ და მართალიც არის! მართალია იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველები, როგორც ზემოდ ვთქვი კიდეც, საოცარ დაუდევრობას ვიჩენთ, ჩვენ ეროვნულ დაწესებულებებზე რო მიდგება ხოლმე საქმე, რაღაც მაღალ-მაღალ იდეალებს ვეპოტინებით მხოლოდ და იმას—კი ვკარგავთ და ვაპნევთ, რაც უკვე ხელთ გვიპყრია, რაც უდავოთ ჩვენია... მოიგონეთ „გმირული“ გამოლაშქრება „ავტონომისტ“ ბ. გიორგი გვაზავასი, რომელიც სადა არა მგონია ლექციასა კითხულობს საქართველოს ავტონომიაზე და ამავე დროს წინააღმდეგია კახეთის რკინის გზის ქართველების ხელში ყოფნისა: „ჩვენ ქართველები მას ვერ მოვიხმარებთ, მცოდნე პირების მაგიერ საქმეს უვიც ადამიანებს ჩავაბარებთ, სინეკურებს შევქმნითო (!)!..“

იქნებ, ზოგიერთს ბ. გვაზავას პოზიცია მოსწონდეს, მე—კი რა მოგახსენოთ: ხვალინდელ ქათამთან დღევანდელი კვერცხიც სასურველად მიმაჩნია, მარტო ავტონომიებზე ცარიელ ლექციების კითხვას ავტონომიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილის ხელში ჭერა მირჩევნია... სიტყვას საქმეს ვამჯობინებ...

ნურავინ იტყვის, რომ ამით ავტონომიურ პრინციპს უარვყოფთ, რომ ის სასურველად არ მიგვაჩნია, არა! ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ დღეს-დღეისობით ის უნდა გავაკეთოთ, რისთვისაც ძალა შეგვწევს, ის დაწესებულებანი უნდა გავაძლიეროთ, რომლებიც ჩვენ ხელთ არიან. ამას მოითხოვს საღი ეროვნული გეგმა, ერთად-ერთი გო-

ნიერი გზა ეროვნულ აღორძინებისა. ამ—მხრივ ჩვენი თავად-აზნაურობა გამოსადეგი დაწესებულებაა, თუ მას შეძლება და უნარი აქვს ჩვენ კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა, დიაღ რომ ნება არა გვაქვს მას გვერდი ავუქციოთ. ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, რათა გავაძლიეროთ მასში საღი დემოკრატიული ელემენტები, განვამტკიცოთ ეროვნული გეგმა, ვისარგებლოთ ამ კანონიერ დაწესებულებით ჩვენ საჭიროებათ დასაკმაყოფილებლად. ამ ჟამად მხოლოდ კულტურულ-ეკონომიურ საჭიროებებზე გვაქვს ლაპარაკი, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თავად-აზნაურობას ხშირად წმინდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ როლის თამაშობაც შეუძლიან. შეუძლიან გაუძლვეს ბევრ კანონიერ მოთხოვნილებას ქართველი ერისას. ასეთია, მაგალითად, საკითხი ქართველ ეკლესიის ავტოკეფალიისა: დარწმუნებული ვარ, თავად-აზნაურობამ რომ მოიწადინოს და საქმეს ენერგიულათ მოჰკიდოს ხელი, მას შეუძლიან სრული კანონიერი მოქმედებით დაუბრუნოს სამშობლო ეკლესიას ძალად წართმეული თავისუფლება, და ამით დიადს ეროვნულს საქმეს შეუწყოს ხელი.

მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკი—შორს წაგვიყვანს, სჯობს ისევ დავუბრუნდეთ ჩვენ პირდაპირს საკითხს—თავად-აზნაურობის კულტურულ საქმიანობას. ვსთქვათ, პირველ ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ საიდანა შოულობს თავად აზნაურობა იმ სარჩოს, რომელსაც, თქმულისამებრ, ისე უხვად უძლვნის ქართულ ეროვნულ საჭიროებათ.

(შემდეგი იქნება.)

შეუპოვარი.

ხაზინა და ქართველი ხალხის მამული *)

სამწუხაროდ, ჟურნალის სვეტები ნებას არ გვაძლევს უფრო ვრცლად შევეხოთ ზემოაღნიშნულ საგანს. ამიტომ მთავრობის პოლიტიკის დახასიათება ცალმხრივი გამოდის ჩვენს ხელში. რადგანაც ხალხის მიწათ-მფლობელობის საკითხი საზოგადო-ეკონომიურ კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული, რადგანაც შეიძლება მიწა მარტო კონფისკაციით ან სხვა გზით არავინ წაიღოს, ხოლო—როგორც ბისმარკი ამბობდა—ისეთ სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენონ მემამულენი, რომ მამულის შენარჩუნება სრულიად ვერ შესძლონ მათ და ჩვენი ხალხი მთავრობის პოლიტიკით სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული. მე არ ვიხსენებ ბატონ-ყმობის ლიკვიდაციის ხანას ჩვენში, არ ვიხსენებ თუ როგორ განადგურებულ იქმნა ხალხის ინტერესები ამ საქმეში. ნუ თუ ყოველი ადამიანი არა ხედავს, რომ ჩვენში მთავრობამ შეუძლებლად გახადა ერობა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, პედაგოგიურ საფუძველზე აშენებული სკოლა, თავისუფალი სარწმუნოება, იაფი კრედიტი, რაციონალური საფინანსო სისტემა... რომელთ უქონლობა ნამდვილად ანგრევს ჩვენი ხალხის შეძლებას.—მაგრამ ამაებზე აქ ვერ შევჩერდებით, ეს საკითხები რამდენადმე განათებულია ჩვენში—აქ არ შეგვიძლიან მარტო რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვათ მთავრობის მოხელეების საქმეებზე პირდაპირ მამულის საკითხში. სახელდობრ დამიჯვნაზე. დამიჯვნა—საკუთრების გამორკვევაში მთავარი საქმეა. აქედან იყრება ფუძე ხელუხლებელ მიწათ მფლობელობისა და ამიტომ ეს საქმე სოციალურადაც მრავალის მხრით არის საყურადღებო.

დამიჯვნას გრძელი ისტორია აქვს ჩვენში. მაგრამ საინტერესო აქა, დამიჯვნის საქმეში წარმოებული ბრძოლის დახასიათებაა. მთავრობის მხრივ მ ჟამად ბრძოლის წარმომადგენელია სახელმწიფო ქონებათა ცენტრალური კომიტეტი და საგუბერნიო მათი განყოფილებანი. კანონიერად და სინდისიერად ახერხებდნენ ეს დაწესებულებანი „სახელმწიფოს მომავალ საჭიროებათა დაკმაყოფილებას"—თუ უკანონოთ, ეს მათთვინ—მთავრობის მოხელეებისათვის სრულიად ერთი და იგივე იყო, ოღონდ კი მთავრობის მიწის ფონდის ინტერესები სათანადოთ ყოფილიყო შესრულებული. მეფის მოადგილე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ამას აშკარად ალი არებს; ის პირდაპირ გვასწავლის, რომ „სახელმწიფო ქონებათა" წარმომადგენელნი ამიერ

*) იხ. „კლდე" № 15, 2 და 3.

კავკასიაში, მამულების დამიჯნვის დროს, **იმის შიშით—რომ შემთხვევით არ გამოჰპაროდათ ხაზ ნის მიწის ფონდის გადიდების ინტერესები, სრულიად უსამართლოდ ადგენდნენ საჩივრებს ისეთ ადგილებზედ, რომელნიც კანონით კერძო პირთ ეკუთვნოდნენ.“** [1])

და რომ მთავრობის მოხელეები პირდაპირ საზღაპრო ხრიკებით ებრძოდნენ ადგილობრივ მკვიდრთ ეს აშკარაა, თუ ჩვენ ანგარიშს გაუწევთ სასამართლოში წარმოებულ საქმეებს. ასე მაგალითად, ხშირი ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოხელეებს მესაკუთრის ნასყიდობის ქაღალდიც არ მიუღიათ მხედველობაში და საქმე სასამართლოში გადაეტანათ. დიად რომ ფრიად დამახასიათებელია, რომ სასამართლო ხშირად უარჰყოფდა ხაზინის ინტერესების დამცველთა ზღაპრულ საჩივრებს, რითაც კიდევ ერთხელ ნუსხავდნენ შემაძრწუნებლობას ხაზინის ინტერესების დამცველთა საქმეებისას. ასე მაგ., შემახას მაზრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარის დასახლებულ ადგილების სახაზინოდ აღიარებაში, მოხელეებმა ნასყიდობის ქაღალდი არაფრად ჩააგდეს და როცა მოხელეებმა საქმე პალატაში წააგეს, კასაციონ სენატში გადაიტანეს და იქაც სამოქალაქო უფლების ტ. X-ნაწ. I,707 და 1509 მუხლის, ძალით, სამართლიანად სცნეს მკვიდრთა ქაღალდების საფუძვლიანობა [2]). მთავრობის მოხელეები, თუ სახაზინო გლეხი კერძოდ შეიძენდა მამულს, — ასეთ მიწის საკუთრებაში ედავებოდნენ, რადგანაც კანონი ამბობდა: სახასო გლეხი, თუ ის უმაღლეს გადასახადს იხდის, ამით მტკიცდება ძიწაზე ხაზინის საკუთრებაო; ამიტომაც მოხელენი ცდილობდნენ ხაზინის უფლების გავრცელებას. გლეხის ყოველ მამულზე ასე მაგალითად, სოფ. დიმის სახაზინო გლეხებს აბ¿ანიძეებს დაედავა მოხელეები, თუმცა პალატამ მოხელეთა საჩივარი უკანონოდ აღიარა. [3]) ხაზინის ინტერესების დამცველნი, აგრეთვე ედავებოდნენ გლეხებს ისეთ მიწა-ადგილებზე, რომელზედაც თვით მოხელეებსაც არაფერი ეთქმოდათ. მართალია — რაიც დიდათ დამახასიათებელია—სასამართლო ხშირად ამტყუნებდა მათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, უხეირო ნიადაგზე დაფუძნებული სასამართლო, ჩვენში ხშირად ამართლებდა მოხელეთა პრეტენზიებს და ამით პირდაპირ ილუპებოდა ხალხის მამული.

[1]) „Всеподданѣйшая записка ..“ გვ. 59.

[2]) А. В. Долгово ,,Положеніе о размежеваніи Закавказскаго края...“ გვ. 98 – Тифлисъ 1912 წ.

[3]) დოლგოვის წიგნის გვ. 89.

სასამართლოებში წარმოებული საქმეები ჯერაც შეუწყვეტელია. მკვლევარნი ამ წყალობისა ჩვენ წარმოგვიდგენენ მთავრობის მოხელეთა პოლიტიკის ყოვლად შეუწყნარებლობას, რაიცა ფაქტიურად გერმანელ გაკატისტების ლოზუნგებს არაფრად ჩამოუვარდება. მაგრამ ჩვენ ხელთ დღესაც საკმაო საბუთები მოიპოვება, რომლითაც აშკარად შეგვიძლიან ამ მოვლენას და მოქმედებას საკუთარი სახელი უწოდოთ.

მთავრობა კი მიწის დაგროვებას ამ გზითაც არ კმაყოფილდებოდა. ის კიდევ უფრო და უფრო მიისწრაფოდა ახალ-ახალ ღონისძიებით გაედიდებინა ხაზინის მიწის ფონდი. ამისათვის რუსეთის მთავრობა იმუშავებდა საზოგადო ხასიათის წესებს, რომელნიც მეტის მეტად შემავიწროებელი იყო ჩვენი გლეხობისათვის. ამ წესებს — სხვათა შორის — მეფის მოადგილე გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც ეხება და ამბობს: „ყოფილი სახელმწიფო გლეხი რომ გარდაიცვლებოდა და ნადელი დარჩებოდა საბატონო გლეხ კაცს ან სხვა ვისმე (მთავრობის მოხელენი მყისვე ართმევდნენ მათ ხსენებულ ნადელს და სხვაზე აქირავებდნენ, [4]) — როგორც ნადელის სრული მესაკუთრე. დასასვენებლად დატოვებულ სახნავ-სათეს მიწებს - განაგრძობს გრაფი — საძოვარ ადგილებად რაცხდნენ და მით (როგორც საერთო წესი მოითხოვდა — ავტ.) კერძო მესაკუთრეების მიწას, ხაზინა ისაკუთრებდა. თუ გლეხის სანადელო მიწაზე ტყე ამოვიდოდა, მთავრობის მოხელენი ნადელს ხე-ტყის შესახებ კანონებს დაუქვემდებარებდნენ და აქედან მიწას ხაზინას მიანიჭებდნენ. საკმაო იყო მდინარეს ბუნებრივად შეეცვალა კალაპოტი, წყალი მოსდებოდა გლეხის მიდამოს, რომ კერძო მიწათმფლობელს მამული — ვითარცა სათევზაო ადგილი, დაჰკარგოდა ხაზინის სასარგებლოდ. საქმე იქამდე მიდიოდა — განაგრძობს გრაფი — რომ კაკლის ხეებით დარგული მიწა-ადგილები ხაზინის საკუთრებად ირისხებოდნენ. [5])

(დასასრული იქნება)

თევდ. ღლონტი.

[4]) უქვეშერდომილესი მოხსენება გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა, გვ. 49—60.

[5]) უქვეშერდომელესი მოხსენების იგივე ალაგი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

1913 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან ჟურნალში იქნება ცალკე განყოფილება, სადაც დაიბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაუთმობათ **სამ მანეთად.** საზღ. გარ. 6 მან. ვინც წლიურ ფასს ჟურნალისას იანვრის ბოლომდის გადაიხდის, საჩუქრად მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა **თბილისში**: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში** ისიდორე კვიცარიძესთან. **ბათომში**—წიგნის მაღაზია „განათლება“. ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიბ. ჟურნალი

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія **Л. Г. Боцвадзе.**

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“

წელიწადი მეცხრე

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივ პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ორი გამოცემა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის. . . 12 წიგნი

ელირება წლიურად 5 მან., ნახევარ წლით 3 მან., ცალ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მან., საზღვარ გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს. ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი, 8.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე.

გამომცემელი თავ. პ. ი. თუმანიშვილი.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературнук ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистей.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к. 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к. 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к. 1 р. 40 к., 75 к.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра)

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья за мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская. № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ახსაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთოგაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.